მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები

2016

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვას მდგრადი ბიომეურნეობების განვითარებისა და სოფლად მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით.

დაარსებიდან დღემდე, საერთაშორისო დონორების ხელშეწყობით, როგორიცაა **EC, WB, UNDP, GEF, GIZ, Brot für die Welt, SDC, HEKS, KfW, WWF** და სხვ., ორგანიზაციამ 60-ზე მეტი პროექტი განახორციელა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, სოფლის ტურიზმისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით.

„ელკანას“ საქმიანობის სფეროებია:

- კონსულტაციები და ტრენინგები მდგრადი ბიომეურნეობის დარგში;
- აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება;
- ბიომეურნეებისა და ფერმერთა ჯგუფების ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობა;
- პროდუქტის განვითარება და პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარებზე;
- სოფლად ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი ტრადიციული პროდუქტებისა და ღვინის წარმოების ხელშეწყობა;
- ბიომეურნეობისა და ტრადიციული ჯიშების პოპულარიზაცია ფართო საზოგადოებაში;
- ფერმერთა უფლებების დაცვა.

ამჟამად ასოციაცია მუშაობს 1000-ზე მეტ ფერმერთან მუშაობს მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, ფერმერთა ჯგუფებთან, ასოციაციებთან, კოოპერატივებთან, საწარმოებთან და სხვ.

„ელკანას“ წევრი მეურნეები

„ელკანას“ ქსელი და ზოგიერთი ქსელი, რომლის წევრიც არის ჩვენი ორგანიზაცია



საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბიომეურნეობის შესახებ

სატელეფონო გამოკითხვა თბილისში

გამოკითხულთა რაოდენობა - 239
(ქალი- 177, კაცი - 62)



რა არის ბიომეურნეობა/ბიოპროდუქცია?

კოოპერატივების განვითარება

კონსულტაციები, ტექნოლოგიური და ტექნიკური ხელშეწყობა



სამეგრელო

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ლაზი“

რა?

კოოპერატივ „ლაზში“ გაერთიანებულია 198 ფერმერი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 7 სოფლიდან (დარჩელი, ორსანტია, განმუხური, ერგეტა, კახათი, ახალკახათი და ოქტომბერი). სამეგრელოს რეგიონში თხილის მასიური გაშენება 10-15 წლის წინ დაიწყო და დღემდე ყოველწლიურად იზრდება როგორც მეთხილე ფერმერების რაოდენობა, ასევე გაშენებული თხილის ფართობები. ფერმერებს თხილი წლების განმავლობაში ტრადიციული მიდგომით, აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების გარეშე. მხოლოდ ხელით შრომის გამოყენებით მოჰყავდათ - შესაბამისად თხილის მოსავლიანობა და ხარისხი საკმაოდ დაბალი, რაც ადგილობრივ საბითუმო ბაზარზე გაყიდვისას, შემოსავლებზეც აისახებოდა. ფერმერებმა ჩამოაყალიბეს კოოპერატივი და გადაწყვიტეს ერთობლივი ძალისხმევით ეზრუნათ თხილის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გაყიდვების გაზრდაზე. „ელკანას“ დახმარებით, კოოპერატივის წევრებმა ისწავლეს თხილის მოვლის თანამედროვე მეთოდები, ჩაერთვნენ ბიოსერტიფიცირების და „სამართლიანი ვაჭრობის“ სქემებში, შეიძინეს თხილის სარჩევი, თხილის ამკრეფი, 2 მიკროავტობუსი, ტრაქტორი, შესაწამლი აპარატი და სხვა სამუშაო აღჭურვილობა. კოოპერატივის ბაზაზე შეიქმნა საცდელი სადემონსტრაციო ნაკვეთი, სოფელ დარჩელში, სადაც წარმოებს ცდები, თანამედრეევ ტექნოლოგიებისა (წვეთოვანი სისტემა) და სხვადასხვა პრეპარატების გამოყენებით. 2016 წელს კოოპერატივმა შემსყიდველ კომპანიას 204.4 ტონა თხილი ჩააბარა.

სად?

კოოპერატივი მდებარეობს სამეგრელოში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

როდის?

კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ედელვაისი“

რა?
კოოპერატივ „ედელვაისში“ გაერთიანებულია 34 წევრი და საქართველოში ერთადერთი მეთხილე ქალთა კოოპერატივია. ფერმერებს თხილი წლების განმავლობაში ტრადიციული მიდგომით, აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების გარეშე. მხოლოდ ხელით შრომის გამოყენებით მოჰყავდათ - შესაბამისად თხილის მოსავლიანობა და ხარისხი საკმაოდ დაბალი, რაც ადგილობრივ საბითუმო ბაზარზე გაყიდვისას, შემოსავლებზეც აისახებოდა. ფერმერმა ქალებმა ჩამოაყალიბეს კოოპერატივი და გადაწყვიტეს ერთობლივი ძალისხმევით ეზრუნათ თხილის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გაყიდვების გაზრდაზე. „ელკანას“ დახმარებით, კოოპერატივის წევრებმა ისწავლეს თხილის მოვლის თანამედროვე მეთოდები, ჩაერთვნენ ბიოსერტიფიცირების და „სამართლიანი ვაჭრობის“ სქემებში, შეიძინეს თხილის სარჩევი, ტრაქტორი, შესაწამლი აპარატი და სხვა სამუშაო აღჭურვილობა. 2016 წელს კოოპერატივმა შემსყიდველ კომპანიას 23.2 ტონა თხილი ჩააბარა.

სად?
კოოპერატივი მდებარეობს სამეგრელოში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანში.

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ლაკადა“

რა?
კოოპერატივ „ლაკადაში“ გაერთიანებულია 44 ფერმერი, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულება და შემოსავლის წყაროა თხილისა და მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოება. ფერმერებს თხილი წლების განმავლობაში ტრადიციული მიდგომით, აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების გარეშე. მხოლოდ ხელით შრომის გამოყენებით მოჰყავდათ - შესაბამისად თხილის მოსავლიანობა და ხარისხი საკმაოდ დაბალი, რაც ადგილობრივ საბითუმო ბაზარზე გაყიდვისას, შემოსავლებზეც აისახებოდა. ფერმერმა ქალებმა ჩამოაყალიბეს კოოპერატივი და გადაწყვიტეს ერთობლივი ძალისხმევით ეზრუნათ თხილის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გაყიდვების გაზრდაზე. „ელკანას“ დახმარებით, კოოპერატივის წევრებმა ისწავლეს თხილის მოვლის თანამედროვე მეთოდები, ჩაერთვნენ „სამართლიანი ვაჭრობის“ სქემაში, შეიძინეს თხილის სარჩევი, ტრაქტორი, შესაწამლი აპარატი და სხვა სამუშაო აღჭურვილობა. 2016 წელს კოოპერატივმა შემსყიდველ კომპანიას 11.6 ტონა თხილი ჩააბარა.

სად?
კოოპერატივი მდებარეობს სამეგრელოში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანში.

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „კოლხა“

რა?
კოოპერატივ „კოლხაში“ გაერთიანებულია 29 ფერმერი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორი სოფლიდან (კოკი, ორსანტია), რომელთა შემოსავლის ძირითადი წყარო თხილის წარმოება და მესაქონლეობაა. ფერმერებს თხილი წლების განმავლობაში ტრადიციული მიდგომით, აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების გარეშე. მხოლოდ ხელით შრომის გამოყენებით მოჰყავდათ - შესაბამისად თხილის მოსავლიანობა და ხარისხი საკმაოდ დაბალი, რაც ადგილობრივ საბითუმო ბაზარზე გაყიდვისას, შემოსავლებზეც აისახებოდა. ფერმერებმა ჩამოაყალიბეს კოოპერატივი და გადაწყვიტეს ერთობლივი ძალისხმევით ეზრუნათ თხილის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გაყიდვების გაზრდაზე. „ელკანას“ დახმარებით, კოოპერატივის წევრებმა ისწავლეს თხილის მოვლის თანამედროვე მეთოდები, ჩაერთვნენ ბიოსერტიფიცირების და „სამართლიანი ვაჭრობის“ სქემებში, შეიძინეს თხილის გამრჩევი, თხილის სამტვრევი, ტრაქტორი შესაწამლით და სხვა სამუშაო აღჭურვილობა. 2016 წელს კოოპერატივმა შემსყიდველ კომპანიას 28.6 ტონა თხილი ჩააბარა.

სად?
კოოპერატივი მდებარეობს სამეგრელოში, ზუგდიდია მუნიციპალიტეტის სოფლები კოკი და ორსანტია.

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ორდი“

რა?
კოოპერატივ „ორდში“ გაერთიანებულია 17 მეთხილე ფერმერი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორი სოფლიდან (ორულუ და დიდინეძი). ფერმერებს თხილი წლების განმავლობაში ტრადიციული მიდგომით, აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების გარეშე. მხოლოდ ხელით შრომის გამოყენებით მოჰყავდათ - შესაბამისად თხილის მოსავლიანობა და ხარისხი საკმაოდ დაბალი, რაც ადგილობრივ საბითუმო ბაზარზე გაყიდვისას, შემოსავლებზეც აისახებოდა. ფერმერებმა ჩამოაყალიბეს კოოპერატივი და გადაწყვიტეს ერთობლივი ძალისხმევით ეზრუნათ თხილის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გაყიდვების გაზრდაზე. „ელკანას“ დახმარებით, კოოპერატივის წევრებმა ისწავლეს თხილის მოვლის თანამედროვე მეთოდები, ჩაერთვნენ „სამართლიანი ვაჭრობის“ სქემაში, შეიძინეს ტრაქტორი, შესაწამლი აპარატი და სხვა სამუშაო აღჭურვილობა. 2016 წელს კოოპერატივმა შემსყიდველ კომპანიას 26.3 ტონა თხილი ჩააბარა.

სად?
კოოპერატივი მდებარეობს სამეგრელოში, ზუგდიდია მუნიციპალიტეტის სოფლები ორულუ და დიდინეძი.

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ბუმერანგი 777“

რა?
კოოპერატივში „ბუმერანგი 777“ გაერთიანებულია 25 ფერმერი ვანის მუნიციპალიტეტის 4 სოფლიდან (ტობანიერი, ყუმური, კუშუბოური და მუქედი), რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულება თხილის მოყვანაა, ფერმერებს თხილი წლების განმავლობაში ტრადიციული მიდგომით, აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების გარეშე. მხოლოდ ხელით შრომის გამოყენებით მოჰყავდათ - შესაბამისად თხილის მოსავლიანობა და ხარისხი საკმაოდ დაბალი იყო, რაც ადგილობრივ საბითუმო ბაზარზე გაყიდვისას, შემოსავლებზეც აისახებოდა. ფერმერებმა გადაწყვიტეს ერთობლივი ძალისხმევით ეზრუნათ თხილის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გაყიდვების გაზრდაზე. „ელკანას“ დახმარებით, კოოპერატივის წევრებმა ისწავლეს თხილის მოვლის თანამედროვე მეთოდები, ჩაერთვნენ ბიოსერტიფიცირების სქემაში, შეიძინეს მიკროავტობუსი, ლაბორატორიული სასწორი, ტენიანობის საზომი აპარატი და თხილის სარჩევი.

სად?
კოოპერატივი მდებარეობს იმერეთში, ვანის მუნიციპალიტეტის სოფლები ტობანიერი, ყუმური, კუშუბოური და მუქედი

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ამხანაგობა“

რა?

კოოპერატივ „ამხანაგობაში“ გაერთიანებულია 21 ფერმერი, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულება თხილის მოყვანაა, თუმცა ციტრუსიც მოჰყავთ და მეფუტკრეობასაც მისდევენ. ფერმერებს თხილი წლების განმავლობაში ტრადიციული მიდგომით, აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების გარეშე. მხოლოდ ხელით შრომის გამოყენებით მოჰყავდათ - შესაბამისად თხილის მოსავლიანობა და ხარისხი საკმაოდ დაბალი, რაც ადგილობრივ საბითუმო ბაზარზე გაყიდვისას, შემოსავლებზეც აისახებოდა. 2016 წელს ფერმერებმა ჩამოაყალიბეს კოოპერატივი და გადაწყვიტეს ერთობლივი ძალისხმევით ეზრუნათ თხილის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გაყიდვების გაზრდაზე. „ელკანას“ დახმარებით, კოოპერატივის წევრებმა ისწავლეს თხილის მოვლის თანამედროვე მეთოდები, ჩაერთვნენ ბიოსერტიფიცირების სქემაში, შეიძინეს ტრაქტორი, მიკროავტობუსი, შესანამლი აპარატი, ტენიანობის მზომი და თხილის სარჩევი. 2016 წელს კოოპერატივმა შემსყიდველ კომპანიას 14.8 ტონა თხილი ჩააბარა.

სად?

კოოპერატივი მდებარეობს იმერეთში, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერეთაში.

როდის?

კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.

სხვა მომსახურეობა:

2016 წლის დეკემბერში, კოოპერატივის პროდუქცია წარმოდგენილი იყო თბილისში ჩატარებულ საახალწლო გამოფენა-ბაზრობაზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ძულუხი“

რა?

კოოპერატივ „ძულუხში“ გაერთიანებულია 29 ფერმერი, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულება თხილის მოყვანაა, თუმცა მევენახეობას, მეცხოველეობასა და მეფუტკრეობასაც მისდევენ. ფერმერებს თხილი წლების განმავლობაში ტრადიციული მიდგომით, აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების გარეშე. მხოლოდ ხელით შრომის გამოყენებით მოჰყავდათ - შესაბამისად თხილის მოსავლიანობა და ხარისხი საკმაოდ დაბალი იყო, რაც ადგილობრივ საბითუმო ბაზარზე გაყიდვისას, შემოსავლებზეც აისახებოდა. ფერმერებმა გადაწყვიტეს ერთობლივი ძალისხმევით ეზრუნათ თხილის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გაყიდვების გაზრდაზე. „ელკანას“ დახმარებით, კოოპერატივის წევრებმა ისწავლეს თხილის მოვლის თანამედროვე მეთოდები, ჩაერთვნენ ბიოსერტიფიცირების სქემაში, შეიძინეს მიკროავტობუსი, ლაბორატორიული სასწორი, ტენიანობის საზომი აპარატი და თხილის სარჩევი. კოოპერატივს ასევე გააჩნია თხილის საშრობი დანადგარი და საწყობი სოფელ ძულუხში. 2016 წელს კოოპერატივმა შემსყიდველ კომპანიას 11.8 ტონა თხილი ჩააბარა.

სად?

კოოპერატივი მდებარეობს იმერეთში, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ძულუხში.

როდის?

კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ზესტაფონური“ - *რძის გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები*

რა?

კოოპერატივ „ზესტაფონურში“ გაერთიანებულია 15 ფერმერი, რომელთა საქმიანობის ძირითადი სფერო ყველის წარმოებაა. 2016 წელს საწარმოში დაინერგა რძის გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები, საწარმო აღიჭურვა ახალი დანადგარებით (პასტერიზატორი, ჰომოგენიზატორი, ყველის სახარში პერანგიანი ავზი, დოზატორი და სხვ.) და კოოპერატივის წევრებმა დაიწყეს უვნებელი, მაღალი ხარისხის რძის პროდუქტის წარმოება - ტრადიციული იმერული ყველი, სულგუნი, მაწონი, ნადუღი. დაინერგა ასევე სიახლეც - კოოპერატივი აწარმოებს სხვადასხვა სანელებლებით (პიტნით,ბულგარული წიწაკით, კოწახურით და ტარხუნით.) შეზავებულ არატრადიციულ ყველს.

სად?

რძის გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს იმერეთში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულში.

სხვა მომსახურეობა:

ახალი საწარმოს გახსნას დაესწრო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ადგილობრივი მედია. კოოპერატივის მიერ წარმოებული ყველი ფართო საზოგადოებას წარედგინა საქართველოს ყველის ფესტივალზე თბილისში და მოწონებაც დაიმსახურა.



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „აგროლიხაური“

რა?
კოოპერატივ „აგროლიხაურში“ გაერთიანებულია 25 ფერმერი, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულება თხილის მოყვანაა, თუმცა მეფუტკრეობასაც მისდევენ. ფერმერებს თხილი წლების განმავლობაში ტრადიციული მიდგომით, აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების გარეშე. მხოლოდ ხელით შრომის გამოყენებით მოჰყავდათ - შესაბამისად თხილის მოსავლიანობა და ხარისხი საკმაოდ დაბალი იყო, რაც ადგილობრივ საბითუმო ბაზარზე გაყიდვისას, შემოსავლებზეც აისახებოდა. ფერმერებმა გადაწყვიტეს ერთობლივი ძალისხმევით ეზრუნათ თხილის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გაყიდვების გაზრდაზე. „ელკანას“ დახმარებით, კოოპერატივის წევრებმა ისწავლეს თხილის მოვლის თანამედროვე მეთოდები, ჩაერთვნენ ბიოსერტიფიცირების სქემაში, შეიძინეს კულტივატორი, შესაწამლი დანადგარი, თხილის ამკრეფი, სასწორი და თხილის სარჩევი.

სად?
კოოპერატივი მდებარეობს გურიაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში.

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი "ჰორიზონტი"

მარწყვის ინტენსიური ბაღის მოწყობა

რა?

კოოპერატივის ახლანდელ წევრებს მრავალი წლის განმავლობაში ტრადიციული მეთოდებით მოჰყავდათ მარწყვი და ჰყიდნენ ადგილობრივ ბაზარზე. „ელკანას“ ხელშეწყობით, ფერმერებმა ჩამოაყალიბეს კოოპერატივი, ისწავლეს მარწყვის მოყვანის თანამედროვე მეთოდები, შეარჩიეს და შეიძინეს მარწყვის ნერგები, ფართობი ტექნიკურად აღჭურვეს და კოოპერატივი საქმიანობის ახალ ეტაპზე გადავიდა - 1200 მ2 ფართობზე მოეწყო თანამედროვე ინტენსიური მარწყვის ბაღი.

სად ?

კოოპერატივის ბაღი მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქედის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაიოში

როდის?

ბაღის აღჭურვა-მოწყობა დასრულდა 2016 წლის მარტში.

სხვა მომსახურეობა:

კოოპერატივი „ჰორიზონტი" ახორციელებს თანამედროვე ტექნოლოგიების უპირატესობების დემონსტრირებას ქედის მუნიციპალიტეტში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი "ლურჯა 2015" - *კენკრის ინტენსიური ბაღის მოწყობა*

რა?
კოოპერატივის ახლანდელი წევრები, წლების მანძილზე, საოჯახო მეურნეობით იყვნენ დაკავებული და მოჰყავდათ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები მხოლოდ საკუთარი ოჯახის საჭიროებისათვის. კოოპერატივის ჩამოყალიბების შემდეგ, მათ სამეწარმეო საქმიანობის დაწყება გადაწყიტეს, რაშიც დახმარება გაუწია ასოციაცია „ელკანამ“: ასწავლა კენკრის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები, დაეხმარა კენკრის ნერგების და ტექნიკური აღჭურვილობის მოძიება-შეძენაში, ბიზნესგეგმის შედგენასა და ინვესტიციის მოძიებაში. შედეგად - კოოპერატივმა თანამედროვე ჯიშის ნერგებით გააშენა კენკრის ინტენსიური ბაღი (1 ჰა მარწყვი და 0,5 ჰა ჟოლო), რომელიც აღჭურვილია წვეთოვანი სარწყავი სისტემით, მოწყობილია შემაღლებული კვლები, საყრდენი სისტემა, მულჩი.

სად?
კოოპერატივის ბაღი მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურში.

როდის?
ბაღის აღჭურვა-მოწყობა დასრულდა 2016 წლის მარტში.

სხვა მომსახურეობა:
დღეისათვის კოოპერატივი, კენკრასთან ერთად, ნერგებსაც აწარმოებს, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას - სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე კონსულტაციებს უწევს დაინტერესებულ ფერმერებს და თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიების პოპულარიზაციასაც ეწევა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ბეთლემი“

ლურჯი მოცვის ინტენსიური ბაღის მოწყობა

რა?
კოოპერატივის ახლანდელი წევრები საოჯახო მეურნეობით იყვნენ დაკავებული და მოჰყავდათ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები მხოლოდ საკუთარი ოჯახის საჭიროებისათვის. კოოპერატივის ჩამოყალიბების შემდეგ, მათ გადაწყიტეს რეგიონისათვის ახალი კულტურის - ლურჯი მოცვის წარმოება დაეწყოთ, რაშიც დახმარება გაუწია ასოციაცია „ელკანამ“: ასწავლა ლურჯი მოცვის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები, დაეხმარა ლურჯი მოცვის ნერგების და ტექნიკური აღჭურვილობის მოძიება-შეძენაში, შედეგად - კოოპერატივმა თანამედროვე ჯიშის ნერგებით გააშენა ლურჯი მოცვის ინტენსიური ბაღი 0,35 ჰა ფართობზე, რომელიც აღჭურვილია წვეთოვანი სარწყავი სისტემით, მოწყობილია შემაღლებული კვლები, საყრდენი სისტემა, მულჩი.

სად?
ლურჯი მოცვის ბაღი გაშენებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გულებში.

როდის?
ბაღის აღჭურვა-მოწყობა დასრულდა 2016 წლის მარტში.

სხვა მომსახურეობა:
კოოპერატივი „ბეთლემი“ ქედის მუნიციპალიტეტში ლურჯი მოცვის მოყვანის თანამედროვე მეთოდების დემონსტრირებასა და პოპულარიზაციას ეწევა.

კოოპერატივი "ლუკა" - *ლურჯი მოცვის ინტენსიური ბაღის მოწყობა*

რა?

კოოპერატივი „ლუკას“ ახლანდელი წევრები საოჯახო მეურნეობით იყვნენ დაკავებული და მოჰყავდათ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები მხოლოდ საკუთარი ოჯახის საჭიროებისათვის. კოოპერატივის ჩამოყალიბების შემდეგ, მათ გადაწყიტეს რეგიონისათვის ახალი კულტურის - ლურჯი მოცვის წარმოება დაეწყოთ, რაშიც დახმარება გაუწია ასოციაცია „ელკანამ“: ასწავლა ლურჯი მოცვის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები, დაეხმარა ლურჯი მოცვის ნერგების და ტექნიკური აღჭურვილობის მოძიება-შეძენაში, შედეგად - კოოპერატივმა თანამედროვე ჯიშის ნერგებით გააშენა ლურჯი მოცვის ინტენსიური ბაღი 0,3 ჰა ფართობზე, რომელიც აღჭურვილია წვეთოვანი სარწყავი სისტემით, მოწყობილია შემაღლებული კვლები, საყრდენი სისტემა, მულჩი.

სად?

ლურჯი მოცვის ბაღი გაშენებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში.

როდის?

ბაღის აღჭურვა-მოწყობა დასრულდა 2016 წლის მარტში.

სხვა მომსახურეობა:

კოოპერატივი „ლუკა“ ქედის მუნიციპალიტეტში ლურჯი მოცვის მოყვანის თანამედროვე მეთოდების დემონსტრირებასა და პოპულარიზაციას ეწევა.

კოოპერატივი "სუბტროპიკი" - *თხილის თანამედროვე ბაღი*

რა?

კოოპერატივ „სუბტროპიკის“ წევრები 0,3-4 ჰა-მდე თხილის ნარგავობებს ფლობდნენ, სადაც ტრადიციული მიდგომით, აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების გარეშე. მხოლოდ ხელით შრომის გამოყენებით მოჰყავდათ თხილი და ადგილობრივ საბითუმო ბაზარზე ჰყიდდნენ. შედეგად - მოსავლიანობა არ აღემატებოდა 1-1,2 ტ/ჰა-ზე. „ელკანას“ ხელშეწყობით, კოოპერატივის წევრებმა თხილის ნარგავობებში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენება დაიწყეს - ისწავლეს თხილის მოვლის თანამედროვე მეთოდები, შექმნეს თხილნარში დასანერგი მეთოდების ტექნოლოგიური რუკები, მოიძიეს და შეიძინეს საჭირო ტექნიკა. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 2016 წლის თხილის მოსავალმა 1,8-2 ტ/ჰა-ს მიაღწია.

სად?

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლები ლეღვა და წყავროვკა (ზედა წყავროვკა).

როდის?

თხილის ბაღის აღჭურვა დასრულდა 2016 წლის აპრილში.

სხვა მომსახურეობა:

კოოპერატივი ქობულეთის მუნიციპლიტეტის სხვა სოფლების თხილის მწარმოებლებს მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ემსახურება და თანამედროვე მეთოდების პოპულარიზაციასაც ეწევა. პარალელურად, კოოპერატივი დაკავებულია თხილის ბითუმად შესყიდვითა და რეალიზაციით.

კოოპერატივი „ხაკა"- *თხილის თანამედროვე ბაღი*

რა?
კოოპერატივ „სუბტროპიკის“ წევრები 0,2-0,8 ჰა-მდე თხილის ნარგავობებს ფლობდნენ, სადაც ტრადიციული მიდგომით, აგროტექნიკისა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების გარეშე. მხოლოდ ხელით შრომის გამოყენებით მოჰყავდათ თხილი და ადგილობრივ საბითუმო ბაზარზე ჰყიდდნენ. შედეგად - მოსავლიანობა არ აღემატებოდა 1-1,2 ტ/ჰა-ზე.
„ელკანას“ ხელშეწყობით, კოოპერატივის წევრებმა ისწავლეს თხილის მოვლის თანამედროვე მეთოდები, შექმნეს თხილნარში დასანერგი მეთოდების ტექნოლოგიური რუკები, მოიძიეს და შეიძინეს საჭირო ტექნიკა. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 2016 წლის თხილის მოსავალმა 1,5-1,8 ტ/ჰა-ს მიაღწია.

სად?
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლები წყავროვკა (ქვედა წყავროვკა).

როდის?
თხილის ბაღის აღჭურვა დასრულდა 2016 წლის აპრილში.

სხვა მომსახურეობა:
კოოპერატივი ქობულეთის მუნიციპლიტეტის სხვა სოფლების თხილის მწარმოებლებს მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ემსახურება და თანამედროვე მეთოდების პოპულარიზაციასაც ეწევა. პარალელურად, კოოპერატივი დაკავებულია თხილის ბითუმად შესყიდვითა და რეალიზაციით.

კოოპერატივი „ივერის ვენახები" - *ღვინის თანამედროვე საწარმო*

რა?
კოოპერატივ „ივერის ვენახების“ წევრებმა ბოლო 5 წლის განმავლობაში ვაზის ადგილობრივი ჯიშების, ჩხავერის და ცოლიკოურის გაშენებითა და ყურძნის რეალიზციით იყვნენ დაკავებული. კოოპერატივის წევრებს სურდათ ღვინის წარმოება, ბოთლებში ჩამოსხმა და რეალიზაცია. „ელკანას“ ექსპერტებმა მათ ასწავლეს ღვინის წარმოების ტექნოლოგია, დახმარება გაუწიეს საწირო არჭურვილობის მოძიება-შეძენაში, სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესაბამისად, არსებული საწარმოო ფართის რეკონსტუქციის გეგმის შედგენაში.

სად?
საწარმო მოეწყო და აღიჭურვა აჭარის ავტონომური რესპუბლიკის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარჯანისში.

როდის?
საწარმოს აღჭურვა დასრულდა 2016 წლის აპრილში.

სხვა მომსახურეობა:
კოოპერატივი „ივერის ვენახები“ ვაზის ადგილობრივი ჯიშების პოპულარიზაციას ეწევა, მასპინძლობს ტურისტებს და აწყობს ადგილობრივი ღვინოების დეგუსტაციებს.

კოოპერატივი „მუხაესტატე" - *ღვინის თანამედროვე საწარმო*

რა?
კოოპერატივ „მუხაესტატეს“ წევრები მრავალი წლის განმავლობაში კუსტარული წესით აყენებდნენ ღვინოს (ადესა, ნოა, რქაწითელი და ცოლიკოური) და ადგილობრივ მოსახლეობაში ბითუმად ყიდდნენ. კოოპერატივის წევრებს სურვილი გაუჩნდათ გაეუმჯობესებინათ წარმოებული პროდუქციის ხარისხი და თანამედროვე ტექნოლოგიით ჩამოესხათ ღვინო და გაეფართოვებინათ ბაზრები. „ელკანას“ ექსპერტებმა მათ ასწავლეს ღვინის წარმოების ტექნოლოგია, დახმარება გაუწიეს საჭირო არჭურვილობის მოძიება-შეძენაში, სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესაბამისად, არსებული საწარმოო ფართის რეკონსტუქციის გეგმის შედგენაში.

სად?
საწარმო მოეწყო და აღიჭურვა აჭარის ავტონომური რესპუბლიკის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში.

როდის?
საწარმოს აღჭურვა დასრულდა 2016 წლის აპრილში.

სხვა მომსახურეობა:
ღვინის წარმოების გარდა, კოოპერატივი სხვა საქმიანობითაც არის დაკავებული - აწყობს ადგილობრივი მეღვინეების შეხვედრებსა და ღვინის დეგუსტაციებს, შეხვედრებს ღვინის ექსპერტებსა და ადგილობრივ მეღვინეებს შორის. ამასთან ერთად, კოოპერატივმა დაიწყო თანამედროვე ტექნოლოგიით რემონტატული ჯიშის მარწყვის სათბურის პირობებში წარმოება და ხელი მოკიდა მეფუტკრეობას თანამედროვე ფინური კონსტრუქციის სკებით.

კოოპერატივი "ჩხავერი" - *ღვინის თანამედროვე საწარმო*

რა?
კოოპერატივის წევრებს მრავალი წელია მოჰყადათ ცოლიკოურის და ჩხავერის ჯიშის ყურძენი. ისინი ჩხავერის ჯიშის ყურძენს ყიდიან, ხოლო ცოლიკოურის და შეძენილი რქაწითელის ჯიშის ყურძნიდან კუსტარული წესით აყენებდნენ ღვინოს და ბითუმად ყიდდნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე. კოოპერატივის წევრებმა გადაწყვიტეს ღვინის ხარისხის გაუმჯობესება, წარმოებისმოცულობის გაზრდა და ადგილობრივ ღვინის ბაზრებზე გასვლა. ასოციაცია „ელკანას“ დაეხმარა კოოპერატივს: ასწავლა ღვინის წარმოების ტექნოლოგია, ხელი შეუწყო საჭირო აღჭურვილობის მოძიება-შეძენაში, სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესაბამისად, არსებული საწარმოო ფართის რეკონსტუქციის გეგმის შედგენაში.

სად?
კოოპერატივის საწარმო მოეწყო და აღიჭურვა აჭარის ავტონომური რესპუბლიკის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისში.

როდის?
საწარმოს აღჭურვა დასრულდა 2016 წლის აპრილში.

სხვა მომსახურეობა:
კოოპერატივი ღვინის წარმოების გარდა, აპირებს ტურისტების მცირე ჯგუფების მიღებას, რისთვისაც უკვე მოწყობილი აქვს სადეგუსტაციო დარბაზი და ღამის გასათევი ფართი 6 კაცზე.

კოოპერატივი "თურმანიძის მარანი"

ღვინის თანამედროვე საწარმო

რა?

კოოპერატივის წევრებს უკვე დაწყებული ჰქონდათ მარნის მოწყობა და ქვევრებში მცირე რაოდენობით ღვინოსაც აყენებდნენ, როდესაც გადაწყიტეს გაეფართოვებინათ წარმოება - მოეწყოთ ღვინის თანამედროვე საამქრო და ჩამოსასხმელი ხაზი, რათა დაეწყოთ ღვინის ბოთლებში ჩამოსხმა. ასოციაცია „ელკანას“ დაეხმარა კოოპერატივს: ასწავლა ქვევრის ღვინის წარმოების ტექნოლოგია, ხელი შეუწყო საჭირო აღჭურვილობის მოძიება-შეძენაში, სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესაბამისად, არსებული საწარმოო ფართის რეკონსტუქციის გეგმის შედგენაში.

სად?

კოოპერატივის საწარმო მოეწყო და აღიჭურვა აჭარის ავტონომური რესპუბლიკის ქ. ქედაში.

როდის?

საწარმოს აღჭურვა დასრულდა 2016 წლის აპრილში.

სხვა მომსახურეობა:

კოოპერატივი ღვინის გარდა აპირებს ჭაჭის ჩამოსხმას და ექსპორტს ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

კოოპერატივი "ინ ვინო ვერიტას"

ღვინის თანამედროვე საწარმო

რა?

კოოპერატივ „ინ ვინო ვერიტას“ წევრები ბოლო 8 წლის განმავლობაში დაკავებული არიან ვაზის ადგილობრივი ჯიშის - ჩხავერის გაშენებით, ღვინის ჩამოსხმითა და პოპულარიზაციით. ღვინის დაწურვა და დავარგება ხდებოდა კუსტარულ პირობებში და აკმაყოფილებდა ბაზრის სასაქონლო მოთხოვნებს. კოოპერატივის წევრებმა გადაწყვიტეს თანამედროვე აღჭურვილობის და მოქმედი სტანდარტების შესაბამისი ღვინის მცირე საწარმოს მოწყობა. ამასთან, კოოპერატივმა გადაწყვიტა აჭარის რეგიონში ღვინის ქვევრებში დავარგების ტრადიციის აღორძინება. „ელკანას“ ექსპერტებმა მათ ასწავლეს ღვინის წარმოების ტექნოლოგია, დახმარება გაუწიეს საჭირო აღჭურვილობის მოძიება-შეძენაში, სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესაბამისად, არსებული საწარმოო ფართის რეკონსტუქციის გეგმის შედგენაში.

სად?

კოოპერატივის საწარმო მოეწყო და აღიჭურვა აჭარის ავტონომური რესპუბლიკის ქ. ბათუმში.

როდის?

საწარმოს აღჭურვა დასრულდა 2016 წლის აპრილში.

სხვა მომსახურეობა:

კოოპერატივი აწარმოებს ღვინოს "ჩხავერი" და ეწევა მის პოპულარიზაციას როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ასევე ტურისტებში და პროფესიონალ მეღვინეებს შორის.



კოოპერატივი „ალაზნისთავი“ - *ტრადიციული თუშური გუდის ყველის წარმოება*

რა?

კოოპერატივი „ალაზნისთავის“ წევრები დაკავებული არიან ტრადიციული თუშური გუდის ყველის წარმოებით. თუშური გუდის ყველის დამზადებას საუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ყველის უნიკალურობას პირველ რიგში მაღალი ხარისხის რძე განაპირობებს, რომელსაც იძლევა თუშეთის ალპურ საძოვრებზე მობალახე ქართული ჯიშები - თუშური ცხვარი და ძროხა. ტრადიციული ტექნოლოგია მოიცავს მინიმუმ 60 დღიან მომწიფებას ცხვრის ტყავისგან დამზადებულ გუდაში (გუდა ცხვრის ან ხბოს ტყავისგან დამზადებული ჭურჭელია). ასოციაცია „ელკანას“ ხელშეწყობით კოოპერატივ „ალაზნისთავმა“ შექმნა და აღჭურვა გუდის ყველის წარმოების პირველი თანამედროვე სტანდარტის საწარმო და ცხვრის საწველი დარბაზი, სადაც რძის წარმოებაც და გადამუშავებაც სურსათის უვნებლობის მოტხოვნების დაცვით ხდება.

სად?

თუშური გუდის ყველის საწარმო მდებარეობს კახეთში, კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, თუშეთში, ალაზნისთავში.

როდის?

საწარმოა აღჭურვა დასრულდა 2016 წლის აგვისტოში.

სხვა მომსახურეობა:

ამჟამად „ალაზნისთავი“ აწარმოებს ოთხი სახის გუდის ყველს, რომელებიც ხასიათდება განსხვავებული შემადგენლობითა და საგემოვნო თვისებებით.



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ალვანი აგრო“

რა?
კოოპერატივ „ალვანი აგროში“ გაერთიანებულია 9 ფერმერი, რომლებიც დაკავებული არიან ბოსტნეულის, სიმინდისა და ხორბლის მოყვანით. მიუხედავად იმისა, რომ მათ მფლობელობაში საკამოდ დიდი ფართობებია, მოძველებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მიწის დამუშავება შესაბამის შემოსავალს ვერ იძლეოდა. „ელკანას“ ხელშეწყობით, კოოპერატივმა შეიძინა ტრაქტორი, საბრუნავი გუთანი, საბაღე შემასხურებელი, სასუქის გამფანტველი, პნევმატური სათესი, ხორბლის სათესი და დისკური ფარცხი.

სად?
კოოპერატივი „ალვანი აგრო“ მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანში

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ნერგები“

რა?
კოოპერატივ „ნერგებში“ გაერთიანებულია 10 ფერმერი; მათგან უმეტესობა ადგილობრივი მასწავლებელი ქალები არიან, რომლებმაც, ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, გადაწყვიტეს ბიომეთოდების გამოყენებით მოეყვანათ საადრეო ბოსტნეული. „ელკანას“ ექსპერტებმა კოოპერატივის წევრებს ასწავლებს ბიომეთოდებით მუშაობა, ხელი შეუწყვეს ორი, 450 მ2 ფართობის კიტრისა და პამიდვრის სათბურის დამონტაჟებაში და მიერ წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის სატვირთო მანქანის შეძენაში. 2016 წლის ადრეულ ზაფხულზე ჯგუფმა უკვე გაყიდა პირველი მოსავალი და შემოსავალიც მიიღო.

სად?
კოოპერატივი „ნერგები“ მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანში

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.



ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘ „ᲙᲝᲜᲐ“

რა?
კოოპერატივ „კონაში“ გაერთიანებულია 5 ფერმერი; რომლებსაც, გაერთიანების შემდეგ, გადაწყვიტეს ბალახეული ჩაის წარმოება დაეწყოთ. ფერმერებს 400 მ2 ფართობზე მოჰყავთ სხვადასხვა ბალახოვანი მცენარეები, ნაწილს ველურად აგროვენე და ნაწილს მზად ყიდულობენ. „ელკანას“ ხელშეწყობით კოოპერატივის მცირე საწარმო სრულად აღიჭურვა და ბრენდირება გაეწია - დღეისათვის კოოპერატივი „კონა“ აწარმოებს 12 სახეობის ბალახეულ ჩაის.

სად?
კოოპერატივი „ჩალა“ მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი ლავრისხევში

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა და ბრენდირება დამთავრდა 2016 წელს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „კოდისწყარო“

რა?
კოოპერატივ „კოდისწყაროში“ გაერთიანებულია 12 ფერმერი, რომლებსაც, კოოპერატივში გაერთიანებამდე, ძირითადად ხილისა და ბოსტნეული მოჰყავდათ. მათი ფართობები ირწყვებოდა წყლით, რომელიც სათავეს ისტორიული სამაჩაბლოს იმ ტერიტორიიდან იწყებს, რომელსაც ამჟამად საქართველო ვერ აკონტროლებს. შესაბამისად, ფერმერებისათვის სარწყავი წყალი ხელმიუწვდომელია.
კოოპერატივის წევრებმა ერთიანი ძალისხმევით გადაწყვიტეს ირიგაციის პრობლემა - „ელკანას“ ხელშეწყობით გაკეთდა ჭაბურღილი. ამასთან, დაინერგა ახალი კულტურა - გაშენდა ჟოლოს ბაღი, რომელიც აღიჭურვა წვეთოვანი სისტემითა და შპალერით. 2016 წელს კოოპერატივმა ჟოლოს პირველი მოსავალი გაყიდა და შემოსავალიც მიიღო.

სად?
კოოპერატივი „კოდისწყარო“ მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროში

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ჰორიზონტი“

რა?
კოოპერატივ „ჰორიზონტში“ გაერთიანებულია 11 ფერმერი; მათი უმრავლესობა ქალია, რომელთა ინიციატივით კოოპერატივში გაერთიანდნენ აგრარული განათლების მქონე ადგილობრივი და ქალაქელი ოჯახები და გადაწყვიტეს ვაშლის და ჟოლოს ბაღების გაშენება. „ელკანას“ ხელშეწყობით კოოპერატივის წევრებმა 10 ჰა ვაშლის ინტენსიური და 1.3 ჰა ჟოლოს თანამედროვე ბაღები გააშენეს, მოაწყვეს შპალერის სისტემა, გააკეთეს ჭაბურღილი, შეიძინეს 220 ტონიანი წყლის რეზერვუარი და ააწყვეს მორწყვის წვეთოვანი სისტემა,

სად?
კოოპერატივი „ჰორიზონტი“ მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის, სოფელ ძევერაში

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ტირიფონი-2014“

რა?
კოოპერატივ „ჰორიზონტში“ გაერთიანებულია 7 ფერმერი; რომლებიც წარსულში მეხილეობას მისდევდნენ. კოოპერატივის შექმნის შემდეგ მათ მარცვლოვნების მოყვანა დაიწყეს. „ელკანას“ ხელშეწყობით კოოპერატივის წევრებმა ისწავლეს მარცვლეულის მოყვანის თანამედროვე მეთოდები, შეიძინეს ტრაქტორი, დისკური ფარცხი, გუთანი, სასუქის გამფანტველი და შემასხურებელი. დღეისათვის კოოპერატივს ამუშავებს 100 ჰა ფართობს და სხვადასხვა მარცვლეული კულტურები მოჰყავს.

სად?
კოოპერატივი „ჰორიზონტი“ მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის, სოფელ შავშვებში

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ხილის მწარმოებელ ფერმერთა ასოციაცია“

რა?
კოოპერატივ „ხილის მწარმოებელ ფერმერთა ასოციაციაში“ გაერთიანებულია 20 ფერმერი, რომლებიც რეგიონისათვის მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი დარგის - ხეხილის ნერგის წარმოების სპეციალიტები არიან და ამ მიმართულებით უკვე 15-20 წელია მუშაობენ. „ელკანას“ ხელშეწყობით, კოოპერატივმა შეიძინა მაღალი ხარისხის სამყნობი მასალის, ვაშლისა და მსხლის საძირეების შეძენა, დაამონტაჟა წვეთოვანი სარწყავი სისტემა და 300 მ2 ფართობზე მოაწყო სათბური.

სად?
კოოპერატივი „ხილის მწარმოებელ ფერმერთა ასოციაცია“ მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისში

როდის?
კოოპერატივის აღჭურვა დამთავრდა 2016 წელს.

სასოფლო-სამეურნეო მოდელები

თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

თხილის მოვლა-მოყვანა ბიომეთოდებით

რა?
სადემონსტრაციო მოდელი - თხილის მოვლა-მოყვანა ბიომეთოდებით მოეწყო ფერმერ გელა ჭანტურიას მეურნეობაში. მოდელის ფარგლებში მიმდინარეობს თხილის ნარგაობის გასხვლა-ფორმირება თანამედროვე მეთოდებით, მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება მხოლოდ ბიოსაშუალებების გამოყენებით. ნაკვეთში ჩატარდა მოკირიანება, ნიადაგის არის რეაქციის განეიტრალებისთვის და ბიოსასუქების შეტანა, რომლის ეფექტურობის განსაზღვრა მოხდა ნიადაგის ანალიზის და თხილის ხარისხობრივი მაჩვენებლების საფუძველზე.

სად?
ნაკვეთი მდებარეობს, საქართველოს, თხილის ყველაზე დიდი მწარმოებელ რეგიონში - სამეგრელოში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში.

როდის?
მოდელის მოწყობა დაიწყო 2014 წლიდან და მიმდინარეობს დღესაც.

სხვა მომსახურება:
ნაკვეთი სასწავლო-სადემონსტრაციო დანიშნულებისა - მეურნეობაში მეთხილე ფერმერებისათვის უკვე 9 პრაქტიკული სწავლება ჩატარდა.

თანამედროვე პენოპოლიურეთანის სკის წარმოება და სადემონსტრაციო საფუტკრე მეურნეობა

რა?
პენოპოლიურეთანის სკის წარმოების მოდელი განხორციელდა ასოციაცია „ელკანას“ წევრი ფერმერის მინდია ქარქაშაძის მეურნეობაში, სადაც ასევე მოწყობილია სადემონსტრაციო საფუტკრე მეურნეობა. ახალი ტიპის სკა მსუბუქია და მარტივია მისი ტრანსპორტირება, კარგად უძლებს ტემპერატურის ცვლილებას, ფუტკარი დაცულია ნესტისა და სიცხისაგან. მასალა უვნებელია გარემოსათვის. და აქვე მოწყობილია. 2016 წლის 8 ივლისს აღნიშნულ მეურნეობაში გაიმართა სადემონსტრაციო ღონისძიება, რომლის მიზანიც იყო მეფუტკრეობით დაინტერესებული კოოპერატივების წევრებისა და სხვა დაინტერესებული ფერმერებისთვის სადემონსტრაციო მოდელის მაგალითზე, მეფუტკრეობაში გავრცელებული სხვადასხვა ტიპების სკების თავისებურებების ჩვენება, აგრეთვე ამ დარგში არსებული ინოვაციების, გამოცდილებებისა და მიღწეული შედეგების გაზიარება.

სად?
პენოპოლიურეთანის სკის წარმოება ხორციელდება იმერეთში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითში.

როდის?
სკის წარმოება ხორციელდება 2016 წლიდან

სხვა მომსახურეობა:
ახალი ტიპის სკის პოპულარიზაციისათვის მეურნეობაში ჩატარდა 2 ფერმერის დღე - ფერმერები გაეცნენ პენოპოლიურეთანის სკის წარმოების პრინციპებს და მის თავისებურებებს.

ფერმერის დღე/სასწავლო-საინფორმაციო ტური

გამოცდილების გაზიარება

სადემონსტრაციო დღე - *მარწყვის მოყვანა სათბურში*

რა?

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ხელშეწყობით თეიმურაზ ტერტერაშვილის მეურნეობაში ჩატარდა ფერმერის დღე, რომლის მიზანი იყო რეგიონის ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის სადემონსტრაციო მოდელის - „მაწყვის საოჯახო სასათბურე მეურნეობა“ გაცნობა.

ფერმერის დღეს ესწრებოდნენ ფერმერები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და ადგილობრივი საინფორმაციო საშუალების წარმომადგენლები - სულ 38 მონაწილე, რომლებიც გაეცვნენ 100 კვ.მ. სასათბურში მარწყვის მოყვანის თანამედროვე მეთოდებს და დააგემოვნეს ფერმერის მოწეული მარწყვი. ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა და დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ ფერმერებში

სად?

ფერმერის დღე მოეწყო ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში

როდის?

2016 წლის 28 აპრილს

სადემონსტრაციო დღე - *პამიდვრის მოყვანის თანამედროვე მეთოდები*

რა?

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ხელშეწყობით ლერი ციცაგისა კახი ბიჭიკაშვილის მეურნეობებში ჩატარდა ფერმერის დღე, რომლის მიზანი იყო რეგიონის ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის პამიდვრის მოყვანის თანამედროვე მეთოდების გაცნობა.

ფერმერის დღეს ესწრებოდნენ ფერმერები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და ადგილობრივი საინფორმაციო საშუალების წარმომადგენლები, რომლებიც გაეცვნენ ორი განსხვავებული მიდგომით პამიდვრის მოყვანას - 1. ბიომეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების (წვეთოვანი მორწყვა, მულჩირება) გამოყენებით და 2. ინტენსიური წარმოებით, მათ შორის საქართველოსათვის ინოვაციური, პომიდვრის მყნობის მეთოდით.

ფერმერის დღის მონაწილეებმა იმსჯელეს ბიო- და ინტენსიური წარმოების მნიშვნელობაზე და დააგემოვნეს ორივე მეთოდით მოყვანილი პამიდორი.

სად?

ფერმერის დღე ჩატარდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბანსა და კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში.

როდის?

2016 წლის 16 სექტემბერს

სადემონსტრაციო დღე

მცენარეული ჩაის წარმოება

რა?
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „კონას“ მცირე საწარმოში ჩატარდა ფერმერის დღე, რომელსაც ესწრებოდნენ ფერმერები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და ადგილობრივი საინფორმაციო საშუალების წარმომადგენლები. კოოპერატივ „კონას“ წევრებმა ღონისძიების მონაწილეებს გააცნეს ბალახეული ჩაის წარმოების ტექნოლოგია და დააგემოვნებინეს 12 სახეობის ჩაი, რომელთა კომბინაციები შემუშავდა ქართველი და ფრანგი სპეციალისტების დახმარებით.

სად?
ფერმერის დღე ჩატარდა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ლავრისხევში

როდის?
2016 წლის 11 ოქტომბერს

სასწავლო-საინფორმაციო ტური

2016 წლის 25-27 ივლისს, ასოციაცია „ელკანას“ ხელშეწყობით, ჩატარდა სასწავლო-საინფორმაციო ტურს იმერეთისა და რაჭის რეგიონებში. ტური მოეწყო ახმეტის, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომლებისათვის და მისი მიზანი იყო ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ დაფინანსებული წარმატებული კოოპერატივებისა და სადემონსტრაციო მოდელების გაცნობა.

ახალი ბრენდების შექმნა და პრეზენტაცია

თუშური გუდის ყველის პირველი თანამედროვე საწარმო

2016 წლის 22 დეკემბერს, თბილისში, სასტუმრო „ბეთსის“ დარბაზში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ალაზნისთავის“ ოფიციალური გახსნა და მის მიერ წარმოებული ტრადიციული თუშური გუდის ყველის ოთხი სახეობის პრეზენტაცია-დეგუსტაცია. კოოპერატივმა „ალაზნისთავმა“, ასოციაცია “ელკანას” მხარდაჭერით გომეწრის ხეობაში, ზღვის დონიდან 2100 მეტრზე, მდინარე ალაზნისთავის სათავეებთან, მოაწყო ტრადიციული თუშური გუდის ყველის პირველი თანამედროვე სტანდარტის საწარმო და მოახდინა პროდუქციის ბრენდირება.

ბალახეული ჩაის პრეზენტაცია

2016 წლის 9 დეკემბერს, თბილისში, მწერალთა სახლის დარბაზში კოოპერატივმა „კონამ“ 12 სახეობის ბალახეული ჩაის პრეზენტაცია გამართა. ღონისძიების მიზანი იყო „კონას“, როგორც ბრენდის, ფართო საზოგადოებისათვის წარდგენა და მიერ წარმოებული 12 სახეობის ბალახეული ჩაის დეგუსტაცია. კოოპერატივი, ასოციაცია „ელკანას“ მხარდაჭერით, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ლავრისხევში შეიქმნა. კოოპერატივის წევრები 12 სახეობის ბალახეულ ჩაის აწარმოებენ. ნედლეულად გამოყენებულია სოფელ ლავრისხევში მათ მიერ მოყვანილი და შეგროვებული მცენარეები, ასევე სხვა კოოოპერატივების მიერ წარმოებული ჩაი. ბალახეული ჩაის კომბინაციები ქართველი და ფრანგი სპეციალისტების დახმარებით შემუშავდა.

სასურსათო უვნებლობა და მცირე ფერმერთა მხარდაჭერა

საქართველოს ფერმერთა II ეროვნული კონგრესი

2016 წლის 2 ივნისს, თბილისის საგამოფენო ცენტრ "ექსპო ჯორჯიას" საკონფერენციო დარბაზში, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ გამართა საქართველოს ფერმერთა კონგრესი, რომლის მიზანი იყო ფერმერებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის დიალოგის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.
კონგრესს წინ უძღოდა რეგიონული შეხვედრები ფერმერებთან, სადაც შეიღჩა კონგრესის დელეგატები წარმომადგენლობითი პრინციპით - სულ კონგრეს დაესწრო 124 ფერმერი-დელეგატი. კონგრესს სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ საქართველოს სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
კონგრესმა მიიღო ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც აისახა ყველა ის პრობლემა, მოსაზრება და რეკომენდაცია, რომელიც ფერმერებმა დააყენეს რეგიონილი შეხვედრებისა და კონგრესის მსვლელობისას. პრობლემები. დეკლარაცია მიეწოდა საქართველოს მთავრობას და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებს.

პროდუქციის საახალწლო აქცია-ბაზრობა

2016 წლის 24 და 25 დეკემბერს, თბილისში, ბუკიას ბაღში, ბიომეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ გამართა მცირე მეურნეებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პროდუქციის საახალწლო გამოფენა-ბაზრობა დევიზით - „მოვითხოვთ სასურსათო სუვერენიტეტს!“. ღონისძიების მიზანი იყო მცირე ფერმერთათვის ბაზრების ხელმისაწვდომობის გაზრდა, უშუალო კავშირის დამყარება მომზმარებელთან და თბილისელებისათვის ადგილობრივი, საღი, ხარისხიანი პროდუქტის მიწოდება.
ბაზრობაზე მონაწილეობდა 54 ფერმერი (22 ქალი და 25 მამაკაცი) და მათ მიერ წარმოდგენილი პროდუქტი შეიძინა დაახლოებით 3600-მა თბილისელმა.

სოფლის ტურიზმი

ტურისტული ბაზრების კვლევის პრეზენტაცია

2016 წლის 24 მარტს, თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ ჩაატარა „კულტურული მემკვიდრეობისა და ტურისტულ ბაზრებში ჩართვის პოტენციალის კვლევის“ შედეგების პრეზენტაცია. კვლევა სამი კომპონენტისაგან შედგებოდა - ტურისტულ ბაზარზე არსებული მოთხოვნა, მიწოდება და მოწყვლადი ჯგუფების როლი. პრეზენტაციას სამიზნე მუნიციპალიტეტებისა და გუბერნატორების ადმინისტრაციის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, მუნიციპალური განვითარების ფონდის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, იაპონიის საელჩოსა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სტუმრებს დაურიგდათ კვლევის ქართული და ინგლისური ვერსიები.

ტრენინგი ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტებისთვის

2016 წლის 18-20 მაისს, იმერეთში, ქ. ბაღდათში, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტებმა ჩაატარეს 3-დღიანი ტრენინგი „სოფლის ტურიზმის საფუძვლები“. ტრეინინგს დაესწრო 22 ადგილობრივი მცხოვრები, რომლებიც ჩართული არიან ტურიზმის ბიზნესში - საოჯახო სასტუმრო სახლების, კაფეების და რესტორნების მფლობელები, ბაღდათის ტურიზმის განვითარების ფონდის წარმომადგენლები. ტრენინგის შედგებოდა თეორიული და პრაქტიკული სწავლებისაგან და მოიცავდა სასტუმრო სახლის მოწყობის, ტურისტული ობიექტის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, კვების, ტურისტული პროდუქტების მომზადებისა და ტურისტულ ბაზარზე გასვლის საკითხებს. ტრენერებმა ტესტირების მეშვეობით შაფასეს მონაწილეთა ცოდნის დონე ტრენინგის დაწყებამდე და მის მიწურულს - 15 მონაწილემ მიიღო მაღალი შეფასება და გადაეცათ ტრენინგიში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

საერთაშორისო პროექტები

ტრენინგი ტრენერებისათვის

2016 წლის 7-10 ნოემბერს, თბილისში საერთაშორისო პროექტის - "მებაღეობა/მებოსტნეობის ინკლუზიურ ღირებულებათა ჯაჭვის ხელშეწყობა სომხეთში, საქართველოში, ყაზახეთსა და მოლდოვაში" ფარგლებში, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას" ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი ტრენერებისათვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სოფლის მეურნეობის 15 ექსპერტმა საქართველოდან, მოლდოვიდან, სომხეთიდან და ყაზახეთიდან. ტრენინგის მიზანი იყო ტრენერთა ფერმერთა ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებების/კოოპერატივებისათვის სასწავლო მოდულისა და სასწავლო კურსის თემატიკის შემუშავება. ტრენინგის ფარგლებში ჩატარდა სასწავლო ვიზიტი კახეთის კოოპერატივებში - „ნერგებში" და „ალვანი აგროში".

აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეორე სამუშაო ჯგუფის ყოველწლიური შეხვედრა

12-14 სექტემბერს ბრიუსელში გაიმართა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეორე სამუშაო ჯგუფის - "ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება" ყოველწლიური შეხვედრა, რომელიც ეხებოდა მცირე და საშუალო ბიზნესის, რეგიონული განვითარებისა და სოფლის მეურნეობის, საზღვრისპირა

თანამშრომლობისა და **DCFTA**-ის განხორციელების საკითხებს.

შეხვედრაზე ასოციაცია „ელკანამ" წარმოადგინა 2015-2016 წლებში საქართველოს ეროვნული პლატფორმის მეორე სამუშაო ჯგუფის საქმიანობები და პრიორიტეტები. 2016 წლის მარტამდე „ელკანა" წარმოადგენდა ეროვნული პლატფორმის მეორე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორ ორგანიზაციას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მეორე სამუშაო ჯგუფის თემატიკა მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული თანამშრომლობის საკითხებს, რომლებიც დაკავშრებულია ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასთან (DჩტA), საინოვაციო პოლიტიკას და სხვ. ეროვნული პლატფორმის მეორე სამუშაო ჯგუფი ასევე მუშაობს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მათ შორის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის საკითხებზე.

„ელკანას" პრეზენტაციის მოკლე მიმოხილვა მოცემულია მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ანგარიში: **http://eap-csf.eu/wp-content/uploads/WG2-Meeting_report.pdf**

მრგვალი მაგიდა საქართველოს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ასოცირების შეთანხმების სექტორული თანამშრომლობის საკითხებზე

(http://www.eu-nato.gov.ge/ge/news/6681

2016 წლის 28 აპრილს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ასოცირების შესახებ შეთანხმების სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე პირველი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი იყო ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა. შეხვედრაზე „ელკანას" წარმომადგენელმა, მ. წულაიამ გააკეთა პრეზენტაცია თემაზე: საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის (სოფლის მეურნეობა) მიმოხილვა.

For BIOtiful Life!

Organic product. Rural diversity.

გაზაფხულის ქ. 61,
თბილისი / საქართველო, 0186
ტელ./ფაქსი: +995 32 253 64 86/87
biofarm@elkana.org.ge